საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

№ 410 1918 წ. ოთხშაბათი, დეკემბერი 18. 30 410

სახალხო საქმე

ფასი 30 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბორჩალოში ჩვენმა მოწყვეტილმა რაზმა ბრძოლით გაიკაფა გზა. გვარდიის მობილიზაცია ცხადდება. სდგება ოფიცრების რაზმი. ინგლისელები კიელში შევიდნენ. დროებით ზავი გააგრძელეს იანვრის 17-მდე. მოკავშირეებს და ამერიკას შორის უთანხმოებაა. პეტლიურას ჯარმა აიღო კიევი, ოდესა, ნიკოლაევი, გეტმანი გადადგა და გაიქცა.

ღრმად დამწუხრებული დედა კესარია ფიფიას ასული ძმები ალექსი, ჯონდა, გუდუ და ზებედე გოგიასძენი, დები ვარვარა, ციცუ და აკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სტეფანე გოგიასძე ბაძაღუასას

რომელიც იქმნა ვერაგულად მოკლული ბოდადის მთაზედ „მოლობილაშიდ" 1918 წ. დეკემბრის 7-ს ტირილის და უკანასკნელი გამოთხოვების დრო დანიშნულია 1918 წ. დეკემბრის 8-ს ძველი სტილით. სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმინდა გიორგი ეკლესიის სასაფლაოზედ. 2574

გულდამწვარი დედა კუწა იოსების ასული, მამა სამსონ დავითის ძე, ძმები: კოწია სოლომონ, სანდრო და მიშა ქლენტები, დები: ქსენია, გოგოცა კიკნაძისა და მაშო კიკნაველიძისა, რძლები: ლუბა, თამარა და ფუცუნია უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

დათიკო სამსონის ძე ქლენტის

ვერაგ ხელით ტრაგიკულად გარდაცვალებას ქ. ზესტაფონში დაკრძალვა მოხდება ს. კვალითში (შორაპნის მაზრა) ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს (ახალი სტილით). 2593

უზომო მწუხარებით გულდათუთქულნი მშობლები დეკანოზი ერმალოზ და ნინო გიორგის ასული, დები: ანეტა, ქაქილა და ვერიჩკა, ძმები: დათიკო, პეტრე და პავლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მე-6 პოლკის ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2601

დები ანეტა, ქაქილა და ვერიჩკა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარელეს და დაუვიწყარ ძმის მე-6 პოლკის ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2601

ძმები: დათიკო, პეტრე და პავლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასეს და დაუვიწყარ ძმის მე 6 პოლკის ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძის

უდროოდ გარდაცვალებას 2601

ღრმად დამწუხრებული მამიდა ევგენია იოანეს ასული მეუღლე ამისი მღვდელი ზოსიმე გველესიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მოულოდნელ და ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას დაუვიწყარ სამხედრო ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძის

2601

მამიდა რებეკა იოანეს ასული, მეუღლე ამისი მღვდელი ლეონტი, მამიდაშვილები: კოლა ცოლშვილით, მიხაკო და ნინო მანჯავიძეები გამოსთქვამენ უღრმეს მწუხარებას უძვირფასეს და დაუვიწყარ სამხედრო ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძის

უდროოდ დაკარგვისა გამო. 2601

ბიძა დეკანოზი ფარნაოზ, ბიცოლა ზინა რომანოზის ასული; ბიძაშვილები: ვასო, კოწია, მედია, გოგლი და ლევან ვეფხვაძეები გამოსთქვამენ გულითად მწუხარებას უძვირფასესი და დაუვიწყარი სამხედრო ექიმის

პლატონ ერმალოზის ძის ვეფხვაძის

გარდაცვალებისა გამო. 2601

1919 წ. იანვრის 3 (ახ. სტ.) 12 საათ.

ქალ. ზესტაფონში შესდგება სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების სასამაზრო

კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენება მომენტზე, 2. დამფუძნებელი კრება, 3. მოხსენებანი ადგილებიდან, 4. საერობო წვრილი ერთეულები, 5. პარტიული მუშაობა მაზრაში, 6. მიმდინარე საკითხები, 7. არჩევნები.

ყველა ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს; თუ წევრთა რიცხი აღემატება 50 კაცს, მაშინ ორს 1439

საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტი

იწვევს მოიჯარადრეებს, რომელთაც შეუძლიანთ მოგვაწოდონ ყოველნაირი სურსათი რკინის გზის მოსამსახურეებისათვის.

ნახვა და მოლაპარაკება შეიძლება: კუთხე ელისაბედის ქუჩისა და მუშტაიდის შესახვევისა № 200 დილის 10—შუადღის 3-საათ. 2501

სახელმწიფო თეატრი
ოპერა ვ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს, პოლიტექნიკუმის სასარგებლოდ საბანეევის, ზალიპსკის, ვრონსკის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით სევილიელი დალაქი და ბალეტი (ოპერა ჯიოკონდიდან).
შაბათს, დეკემბრის 21-ს, საბანეევის, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით ტრავიატა.
კვირას, დეკემბრის 22 ს, დილით ევგენი ონეგინი, საღამოთი ალეშკოს ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით რუსალკა.
სამშაბათს, საბანეევის და სარაჯიშვილის მონაწილეობით მარგალიტის მაძიებელნი. 1397

ქ. ზუგდიდში
იყიდება უფლება 700 კვ. საჟ. სადუქნე მიწისა შუაგულ ქალაქში. ფასი 100 მ. კვ. საჟენისა. მისამართი: ქ. ტფილისი, პრიუტის შესახვევი № 3.
2598 ელენე ნიკოლოზის ასული ლოლუასი.

პახელ მემამულეთა საზოგადოება „პახესი"-ს
გამგეობა აცხადებს, რომ მისთვის
საჭიროა გამოცდილი ბუღალტერი
მსურველებმა თავიანთი კოპიები სამსახურობის და სწავლის მოწმობები უნდა წარმოუდგინონ საზოგადოების გამგეობას. გოგოლის ქუჩა № 63. 2599

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა თვის 7-ს თარიღით, რათა საჩქაროდ მოეწყოს სახელმწიფო მოსამსახურეთა სასურსათო დახმარების ორგანიზაცია, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, დაჩქარებით წარმოგვიდგინონ სია თავიანთ მოსამსახურეების შემდეგ განმარტებით: 1. თანამდებობა მოსამსახურისა, 2. რაოდენობა ჯამაგირისა, 3. ოჯახის შემადგენლობა (რიცხვი ოჯახის წევრებისა), 4 რაოდენობა და ფასი მოსახმარ საგნებისა, რომელსაც იღებენ დაწესებულებისგან და ან სად იღებენ. სია იმ მოსამსახურეების იმ დაწესებულებებიდან რომელნიც იმყოფებიან ტფილისში უნდა არა უგვიანეს დეკემბრის 20-ისა და პროვინციაში კი არა უგვიანეს 1919 წლის იანვრის 1 სა სიები უნდა გამოგზავნილ იყოს შრომის სამინისტროში. (პეტრე დიდის ქუჩა 8).

შრომის სამინისტრო. 1445.

ცირკი „მოდერნი"
(ყოფილი მმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, 1918 წ. დეკემბრის 18-ს გაიმართება
დიდი სახუმრო წარმოდგენა
დღეს მონაწილეობას იღებენ: ლევინსკი, ჰაერის მეფენი სამი ეშმაკი, სლასტუშინსკი, ნიკოლინი, იაპონური დასი იამადოსან, ვიქტორი და დიმი, და მთელი დასი. დღეს ყველაფერი ახალი და საინტერესოა.
მთავარი ადმინისტრატორი ა. ელიზაროვი. 2597

ტფილისი, დეკემბრის 18.

ქალაქის საბჭოში ტფილისის ქალაქის საბჭოს დეკემბრის 16 სხდომა მეორე ისტორიული დატაა დედა-ქალაქის თვითმართველობის ცხოვრებაში. ამ დღეს მსჯელობა იყო ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ. ყველა ფრაქციამ ილაპარაკა და ბოლოს მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური დანაწილება მოხდა. ერთს მხარეს იყოს განმარტოებით ქართველობა, მეორეს—სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი: სომხები და რუსები—განურჩევლად პარტიისა. მხოლოდ ორიოდე სომეხმა დაუჭირა მხარი რეზოლიუციას, რომელიც თავის თავად არაფერს წარმოადგენდა იქიდანაც ამოშალეს ისეთი ყურადსაღები ადგილი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. რეზოლიუციაში ნათქვამი იყო, რომ საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად საჭიროა სტატუს ქვო ანტე ბრძოლის დაწყებისა აღსდგეს, ე. ი. მდგომარეობა რომელიც შეტაკებამდე არსებობდა. ამნაირად ტფილისის ქალაქის საბჭოს შემთხვევითმა თუ არა შემთხვევითმა უმრავლესობამ დაადასტურა იმ ადგილების დაჭერა, რომელიც სომხის ჯარმა მოახდინა. და ამას ხმა მისცეს იმ რუსმა „სოციალ-დემოკრატებმა", რომელნიც სხვებთან ერთად მოსისხლე მტრები არიან ჩვენი არა მარტო დამოუკიდებლობის, არამედ არსებობისაც კი. ვიმეორებთ, დეკემბრის 16 ისტორიული დღე იყო. აქ საბოლოოდ გამოირკვა, თუ რა მუხანათ, რა საშინელ, ვერაგ მტრებთან გვაქვს საქმე, როგორის რკალით ვართ გარშემორტყმულნი და რანაირის დაუნდობლობით, რანაირის სიამოვნებით მოშხამავენ ყველაფერს ჩვენს გულზე მოკალათებული და გამთბარი გველები.

ამ კრებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი დედა-ქალაქი მტრების ხელშია და ტრაგიკომიკურ მდგომარეობა იქმნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი მტრებთან ბჭობს, თათბირობს და მოხსენებას უკითხავს საქმის მდგომარეობის შესახებ, აწვდის ისეთს ცნობებს, რომელიც ჯერ პარლამენტისათვის არც კი მოუხსენებია! ან რა საბჭოს საქმეა სეპარატიულად გამოსვლა და უმაღლეს პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტა. ჩვენ ფაქტთან გვაქვს საქმე და ტფილისის საბჭომ უნდა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მთავრობას როგორც ომში, ისე წესიერების დაცვაში. არც მეტი, არც ნაკლები.

აქ კი მგლის თავზე სახარებას კითხულობენ. აღსანიშნავია ერთი გარემოება: როდესაც ევგ. გეგეჭკორმა განაცხადა—ჩვენ თავს ვიცავთ, ვიცავთ ჩვენს საზღვრებსა და გარწმუნებთ, შევსძლებთ კიდევაც მის ღირსეულად დაცვასაო—მარჯვნიდან მოისმა ხმა: მუქარააო. საკითხავია, ვის წინააღმდეგ არის მუქარა, ვისი წარმომადგენელნი არიან ქალაქის თვითმართველობაში მსხდარნი. უეჭველია ჩვენი მოწინააღმდეგეებისა, რომელთაც თურმე თავდაცვით ვემუქრებით!

ეს ძლიერ დიდი გაკვეთილია. იგი გვიკარნახებს ფხიზლად ვიყოთ და შესაფერისი განწმენდა მოვახდინოთ ყველა იმ დაწესებულებებისა—რომელშიაც ჩვენი დაუნდობელნი მტერნი მოკალათებულან. ეს მორიგი, გადაუდებელი საკითხია.

აგრარული კანონ-პროექტი

3.

საზოგადოდ, აგრარული რეფორმა ორის მხრით არის გაშუქებული ევროპისა და რუსეთის ლიტერატურაში და ეს ორი მხარე მიგვითითებს ორ პრაქტიკულ დასკვნისაკენ. პირველი მხარე წარმოშვა მიწის სივიწროვემ და უმეტესად მისმა უსამართლო განაწილებამ სხვა და სხვა სოციალურ ერთეულებ შორის. ამ მხრივ სტატისტიკა დიდ კონტრასტებზე გვითითებს, რომლიდანაც აშკარად სჩანს მთელი უსამართლობა წარმოდგენილი მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტით. აქედან საკითხის ეს მხარე რადიკალურად აყენებს მიწათ-მფლობელობის ფორმათა საკითხს და, რა თქმა უნდა, მოითხოვს კერძო საკუთრების მოსპობას მიწაზე. რადგან ყოველგვარი სხვა სახითი დანაწილება ამ მიწების დროებითი პოლიატიკია, რომლის შედეგი ისევ დღევანდელი უთანასწორობა იქმნება. ეს ასეა, თავი რომ დავანებოთ საკითხის ეთიურ მხარეს, რომელიც მიწაზე კერძო საკუთრებაში ყველაზე უფრო აშკარად გამოსჭვივის.

იქ, სადაც აგრარული რეფორმა ვერ აღწევს მფლობელობის უმაღლეს ფორმას (განსაზოგადოებრივობას), საკითხის პირველი მხარე სწყდება უფრო პრიმიტიულის საშუალებით: მიწა ნაწილდება კერძო საკუთრებად მიწის მუშებ შორის, როგორც ეს მოხდა მაგალითად ირლანდიაში დიდ აგრარულ მოძრაობის შემდეგ. აქ გლეხს ეძლევა უფრო დიდი ზომა მიწისა და დანარჩენი გზები უტოპიად ითვლება.

მაგრამ ეს შესაძლებელია იქ, სადაც კიდევ შენახულა დიდი ლატიფუნდიები, რომლებშიაც არენდით სარგებლობენ გლეხები. აქ საკმარისია მოისპოს საარენდო კაბალა, მისი აუტანელი პირობები და მთელი ნამუშევარი თვითონ გლეხს რჩება. სწორედ ასეთი იყო იმავ ირლანდიის რეფორმა. იქ მცხოვრებთა რიცხვი კლებულობდა, რადგან იჯარით წელგაწყვეტილი ხალხი ოკეანეს გადაღმა გადადიოდა და მიწის რენტაც თანდათან ეცემოდა. გაჩნდა მრავალი თავისუფალი მიწები და ამ მიწების კერძო საკუთრებად დანაწილება კარგს ხნით წამლობა იყო მათთვის. ჩვენში, სამწუხაროდ, არ არსებობს რამდენიმედ სერიოზულად დაყენებული შესწავლა ამ საკითხისა, ჩვენი სტატისტიკა საბოლოო ცნობებს არ გვაწვდის მიწების დანაწილების შესახებ, მაგრამ ერთი მაინც აშკარაა ყველასათვის—საქართველოში ასეთი ვებერთელა ლატიფუნდიები არ მოიპოება. რომ ძველი მემამულეების მიწები თითქმის სულ გადასულია წვრილ მესაკუთრეთა ხელში, მარტო საადგილმამულო კომისიის მუშაობამ დიდი ნაყოფი მოიტანა ამ საქმეში. მეორე, ჩვენ ვიცით მარტის 7-ს კანონის რეალური შედეგები, რომელიც დიდი იქმნებოდა, თუ ჩვენში მსხვილ მიწათ-მფლობელობას ქონოდა ადგილი. მაგრამ დავინახეთ, რომ დიდზე დიდი პროცენტი მესაკუთრეთა არ ასცილებია დატოვების ნორმებს და სახელმწიფოს ფონდში გადასულია მთელი კერძო მესაკუთრეთა მამულების 10%-ზე ცოტათ მეტი. 2.209,132 დესეტინიდან ფონდში გადავა მხოლოდ 270,000 დესეტინა, როცა მიმღები კომისიები მთელ მუშაობას დაამთავრებენ
]

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ამავე გუბერნიებში დაახლოებით 304,780 კომლია მცხოვრებთან. აქედან უბრალო მათემატიკური ანგარიშიც ცხად ყოფს, რომ თითო კომლზე თითო დესეტინაც კი არ მოდის სახელმწიფოს ფონდიდან, და ასეთი უნდა იქმნეს მთელი შედეგი აგრარულ რეფორმისა: თვითოეული გლეხის ოჯახი ნოტარიუსის წესით დაიმტკიცებს საშვილიშვილოდ და უდავო საკუთრებად $^1/_2$—1 დესეტინამდე არა მგონია ეს იყოს უტყუარი წამალი და ამ ნაჭერისათვისაც ფულის გადამხდელმა გლეხობამ დიდი მადლობა უთხრას კანონის ავტორებს—სოციალ-დემოკრატებს.

როგორც ვხედავთ, ჩვენში მიწის სივიწროვე წარმოუდგენელი ზომისაა, მიწის რენტა ტიტანურის სისწრაფით იზრდება, ემიგრაცია სულ მცირედია, რომ მცხოვრებთა რიცხვმა იკლოს, ასევე მცირედია სოფლიდან ქალაქებში გადახიზვნა, რასაც ადგილი აქვს ევროპაში ინდუსტრიის საოცარ ზრდის გამო; ინგლისში 1871–1911 წლამდე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ორჯერ იწევს 14-დან 28 მილიონამდე.

ხოლო სოფლის მცხოვრებნი იკლებენ ცხრიდან რვა მილიონამდე, გერმანიაში 35 წლის განმავლობაში (1870–1905) ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი იზრდება 15 დან–35 მილიონამდე, სოფლებში 26-დან 25-მდე ჩამოდის, საფრანგეთში 1872 წლ. — 1906 წლამდე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ადის 11-დან 17 მილიონზე, ხოლო სოფლებში ეცემა 25-დან 23 მილიონამდე. სულ სხვა სურათია ჩვენში; მართალია ორიოდე ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი იზრდება, მაგრამ უფრო მეტის სისწრაფით იზრდება სოფლის საერთო მცხოვრებთა რიცხვი. ევროპის სოფელს დიდი ბაზარი უჩნდება მოზარდ ქალაქების სახით, და იქ მიწის სიმცირე ისეთ მწვავე ხასიათს არ იღებს. ჩვენში ქალაქი ასეთ ბაზარს არ წარმოადგენს და სოფლის მცხოვრებთა რიცხვის ზრდა წარმოშობს დიდ სივიწროვეს მიწებისას ჩვენში.

აქედან ცხადია, მიწათ-მოქმედების ახალ ფორმას ჩვენში იმდენად ექმნება პრაქტიკული შედეგი, რამდენადაც იგი ადვილად გადაგვიყვანს მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე. საზოგადოდ ირლანდიის გზა (მიწების სამართლიანი დანაწილება კერძო საკუთრების სახით) ჩვენთვის სრულიად უშედეგო და უფრო რეაქციონური იქმნება... ცხადია, ასეთივე ღირსების იქმნება ახალი კანონ-პროექტი, რომელიც შეეცადა საკითხის ამ შაბლონით გადაწყვეტას და რეფორმის მეორე მხარე უყურადღებოდ დატოვა. მეორე მხარედ აგრარულ რეფორმისათვის ლიტერატურაში და პრაქტიკაშიც აღიარებულია ინტენსიური მეურნეობის გაჩაღება. ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ევროპის იმ ქვეყნებში, საცა მცხოვრებთა რიცხვი იზრდება, მიწის რენტა პერიოდულად იწევს და მიწის დიდი სივიწროვეა.

ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოს მიწათ მფლობელობა სწორედ ამ ხასიათისაა და ცხადია, ეს ლიტერატურა და პრაქტიკა ჩვენს კანონ მდებელთ ყველაზე მეტად უნდა მიეღოთ მხედველობაში. სამწუხაროდ, ჩვენ სულ საწინააღმდეგოს ვხედავთ ახალი რეფორმა (კერძო საკუთრებად დანაწილება, პარცელაცია) სწორედ გზებს უჭრის ასეთ ინტენსიფიკაციას და ჩვენს ინდივიდუალურ მეურნეობას ისევ სტოვებს პრიმიტიულ კულტურის საფეხურზე. მაღალი ბუნება და ნოყიერება, მრავალ გვარობა ჩვენის მიწებისა არაფერს ეუბნება სოც.-დემოკრატებს. დასკვნა ერთია: აგრარულ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება ან მიწათ-მფლობელობის გაფართოების, ან ინტენსიფიკაციის მხრით, პირველი ჩვენში შეუძლებელია და ქიმერაა, მეორესკენ სინამდვილე გვითითებს. კანონ-პროექტი მარტო პირველს აქცევს ყურადღებას, შერეულ ინსტიტუტს უფრო ამკვიდრებს და მეორეს შესაძლებლობის გზებს უსპობს.

ასეთია ამ კანონ-პროექტის ღირსება.

აკ. პ—ვა.

უკანასკნელი ცნობები

ჩვენი რაზმები.

სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ სანაინის კლდეებში მომწყვდეულმა ჩვენმა რაზმებმა ბრძოლით გაარღვიეს მტრის გარშემორტყმული ჯარები და სამშვიდობოს გამოვიდნენ.

საქართველო და სომხეთის ბრძოლა

დიპლომატიური მოლაპარაკება.

დეპეშა ერევნიდან ნოემბრის 17 თარიღით № 17. საგარეო საქმეთა მინისტრს. სიტყვიერი მოლაპარაკების დროს ტიგრანიანთან მე მივაღწიე შემდეგს: მან პრინციპიალურად შესაძლებლად დაინახა სომხეთის დეპუტატების მონაწილეობა კონფერენციაზე, ვიდრე საზღვრების შესახებ საკითხი გადაწყდებოდეს, იმ პირობით, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნას საერთო კონფერენციაზე კი არა, არამედ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ურთიერთ შეთანხმებით ამ გვარ განცხადებას, რასაც ჩვენ მივიღებთ სომხეთის მთავრობისაგან, ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ.

მდივანი.

დეპეშა ნოემბრის 22 თარიღით, ერევანში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს: „კონფერენცია გადადებულია ნოემბრის 30-სათვის. ყველაფერი, რაც შემეძლო გავაკეთე. ამ დროისთვის მოგელოდებით თქვენ და სომხეთის დელეგატებს. გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

დეპეშა დეკემბრის 2 თარიღით. ერევანი, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს: „კონფერენცია გადაიდო რატომ არ გამოგზავნა წარმომადგენლები სომხეთის მთავრობამ. მე შესაძლებლად მიმაჩნდა სომხეთის მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკება მეწარმოებინა, მაგრამ მათი მხრით თუ არ იქნება სურვილი ეს იდეა დიდ ხანს არ განხორციელდება. საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

—

სომხეთის მთავრობის ულტიმატუმი.

რადიო დეპეშა ერევნიდან მიღებული დეკემბრის 15. საგარეო მინისტრს, ასლი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში. „ეხლა მივიღე თქვენი რადიო-გრამა № 5599 ჩემი დეკემბრის 9 დეპეშის საპასუხოდ. მოგახსენებთ, ჩვენი მთავრობის მიერ თქვენს მთავრობას გაეგზავნა ორი დეპეშა, რომლებშიაც წინადადებას ვაძლევდით საქართველოს მთავრობას დაუყონებლივ გაეყვანა თავისი ჯარები ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილებიდან, რომ არ მოხდეს შეტაკება სომხის და ქართველ ჯარების ნაწილებისა, ვაცხადებთ, რომ ეს წინადადება არ ნიშნავს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას. ამასთან ერთად, არა ერთხელ ვაცხადებთ, რომ ეს ნაწილები არ შედის საქართველოს ტერიტორიაში და შეადგენს სომხეთის განუყრელ ნაწილს, და ძალადობით დაკავებულია საქართველოს ჯარების მიერ, რადგანაც ჩვენ უაღრესად მშვიდობიანობა გვინდა და, ჩვენი მთავრობა დროებით ურიგდებოდა ამ მდგომარეობას იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა თავს შეიკავებს აგრესიული მოქმედებიდან ადგილობრივ მცხოვრებთა წინაშე, რომლებსაც არ უნდათ საქართველოსთან შეერთება. მაგრამ მიუხედავათ ამისა საქართველოს მთავრობა არა თუ შეეგება ჩვენს სურვილს საზღვრების საკითხის ნათლად გადაჭრის შესახებ, არამედ ამ ოლქების თავისთვის გასამაგრებლად ადგილობრივ მცხოვრებლებზე მიიტანა იერიში, რომლებსაც მოჰყვა სისხლის ღვრა და მკაცრი ძალადობა. სომხურ სოფლების დარბევა არტილერიის ცეცხლით. მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უყუროს იმას, თუ როგორ უწესოებას ჩადის მეზობელ სახელმწიფოს ჯარები იმ ტერიტორიაზე, რომელიც სომხეთს ეკუთვნის. აგრედვე თქვენი ჯარები ესვრის სომხეთის მოქალაქეებს ჩემს მთავრობას მხურვალედ სურს შემდეგში საქმის გართულება არ მოხდეს და უნდა იწამოს, რომ საქართველოს მთავრობა პატივისცემით მოეპყრობა მცხოვრებთა სურვილებს და სომხეთის უფლებებს, და საჩქაროდ გაიყვანს ჯარებს თავისი ინიციატივით, და საშუალებას მისცემს თქვენს დელეგაციას ჩვენთან მოლაპარაკებისა და აღდგენილ იქნება ტელეგრაფის კავშირი, და ამით განამტკიცებს მშვიდობიან მცხოვრების ორ მონათესავე და მეზობელ სახელმწიფოთა შორის კავშირს № 912. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ტიგრანიანი.**

—

საქართველოს მთავრობისაგან.

სომხეთის ჯარი მუხანათურად შემოესია ჩვენს საზღვრებს. გაჟლიტეს და დაატყვევეს ჩვენი სანაპირო რაზმები, **დაანგრიეს რკინის გზა და შესწყვიტეს** სომხეთ-საქართველოს შორის ტელეგრაფის კავშირი.

ძმათა შორის სრულიად მოულოდნელად სისხლი დაიღვარა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავიდანვე ცდილობდა ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას და ყოველ სადავო კითხვების შეთანხმებით გადაჭრას.

ამ მიზნით მან თავს იდვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის კონფერენციის მოწვევა, სადაც ისინი სხვათა შორის ხელ შეკრულობას დასდებდნენ, რომლის თანახმად ყველა სადავო კითხვები, მათ შორის საზღვრების შესახებ, შეთანხმებით უნდა გადაჭრილიყო; ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, საბოლოო განაჩენი ორივე მხრისათვის სავალდებულო არბიტრაჟს უნდა გამოეტანა. ასეთია დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიდი ხნის მისწრაფება. აქეთკენ მიილტვიან ამ ჟამად ყველა დემოკრატიული ქვეყნები.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ კონფერენციაზე თავის წარმომადგენელთა გამოგზავნა არ მოისურვა და მოითხოვდა საქართველო სომხეთის შორის სადავო კითხვების წინასწარ გადაჭრას. ჩვენ ეს წინადადებაც მივიღეთ და სომხეთ-საქართველოს წინასწარ კონფერენციის გახსნას უცდიდით. ამიტომაც ნოემბრის ათიდან რამოდენიმეჯერ გადადებულ იქნა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

ჩვენ დღიდან-დღე ველოდით ერევნიდან სომხეთის წარმომადგენელთა ჩამოსვლას, მაგრამ ერევანში გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო სადაო კითხვების მორიგებით გათავებისა და სომხეთის და საქართველოს დემოკრატიას თავს დაატყდა ახალი უბედურება:

დეკემბრის 9-ს, სოფ. უზუნლიარში თავს დაესხნენ ჩვენს სანაპირო რაზმის ჯარის კაცთ, შემდეგ დაატყვევეს და გაჟლიტეს ჩვენი რაზმები. კობერსა და კორინჯში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქმე გვქონდა სომხეთის შინაურ ანარქიასთან და ამიტომაც ფართო სამხედრო მოქმედება არ დაგვიწყია. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა რომ ამ ოპერაციებს სომხეთის ჯარის ოფიცრები მეთაურობდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს იყო უპასუხისმგებლო ჯგუფის დანაშაული, ვინაიდან დაუჯერებლად მიგვაჩნდა მეზობელი რესპუბლიკის მიერ ორივე ქვეყნის დემოკრატიისათვის ასეთი საბედისწერო ნაბიჯების გადადგმა. ასეთ რწმუნებას საფუძველს აძლევდა სომხეთ-საქართველოს ორი ათასი წლის ისტორია, რომელსაც არ ახსოვს ამ ერთა შორის ომი და სისხლის ღვრა; პირ-იქით, ისინი ხელ-ი-ხელ ჩაკიდებულნი საერთო ძალ-ღონით ებრძოდნენ აღმოსავლეთის დესპოტთა ურდოებს.

ასეთი იყო საქართველოს მთავრობის შეხედულება, როცა ჩვენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ტიგრანიანის ხელ-მოწერილი ულტიმატუმი მივიღეთ, რომელშიაც ერევნის მთავრობამ სომხებით დასახლებული ბორჩალოს და ქართლის გარეშე რაიონების დაუყონებლივ დაცლა მოითხოვა.

ჯერ შემოსევა, მერე ულტიმატუმი: ნაცვლად კონფერენციისა და მორიგებისა, ომი და სისხლი!

ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები მშვიდობიანობის დასაცველად და სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, და ეს მას შემდეგაც, რაც სამშობლოს დამცველ ჯარის-კაცთაგან რამდენიმე ათეული მუხანათურად გაჟლიტეს და ტყვედ წაიყვანეს! და ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვსურდა და გვსურს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ომის საბოლოოდ მოსპობა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცება.

სამწუხაროდ, მეზობელ რესპუბლიკის მეთაურები ფეხქვეშ სთელავენ დემოკრატიულ საუკეთესო ტრადიციებს, ორივე სახელმწიფო ანარქიის გაძლიერებით ემუქრებიან მათ, კულტურას ძირს უთხრიან და მსოფლიო ომის დამთავრებისას ახალი ომის აჩრდილს იწვევენ.

საქართველოს მთავრობას ამ დანაშაულში არავითარი მონაწილეობა არ მიუძღვის. მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მთავრობას.

მაგრამ სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყო.

წინასწარ დარაზმული სომხეთის ჯარები ჩვენს დაბა-სოფლებს და ქალაქებს ემუქრებიან.

რომ თავიდან ავიცდინოთ ქვეყნის აოხრება, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვსცანით ფართო სამხედრო ზომების მიღება.

ყველა მოქალაქე განურჩევლად სარწმუნოება-ეროვნებისა, ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

მოქალაქენო!

ქართველი ხალხი მუდამ ცნობილი იყო თავის რაინდობით და მოქალაქობრივ უფლებათა შეგნებით.

ჩვენ მივმართავთ მოქალაქეთა ამ გრძნობებს დაიმედებული, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში სამხდრო მოქმედების დროსაც კი მტკიცედ დაცულ იქნება ყველა მცხოვრებთა, განურჩევლად ეროვნება-სარწმუნოებისა, უფლებანი.

სამხედრო მოქმედების დაწყებით ანარქიის გაჩაღებას ცდილობენ, არ წამოეგოთ ჩვენი რესპუბლიკის მტერთა ანკესზე! დაიცავით სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი!

დეე იცოდეს თითოეულმა მოქალაქემ, რომ საქართველოს მთავრობა ებრძვის არა სომხის ერს, არამედ ერევნის იმ სამხედრო ჯგუფს, რომელმაც ძმათა სისხლის ღვრა გამოიწვია!

საქართველოს დემოკრატია მომხდურთ, მთელ თავის ძალღონეს დაუპირდაპირებს, და ფეხქვეშ გათელილ სამართლიანობას სულ ახლო მომავალში აღადგენს, და აიძულებს მოწინააღმდეგეს იცნოს დემოკრატიის მიერ წამოყენებული პრინციპი—სადავო კითხვები სახელმწიფოთა შორის გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი მორიგებით და არა ხმლით.

საქართველოს პარლამენტი

ჩვენ გვეუბნეოდნენ კონფერენცია მაშინ შეიძლება მოიწვიონ, წინასწარი შეთანხმება თუ არისო. ამ მხრივ ჩვენ მივეგებეთ: ნოემბრის 10 ვის დანიშნული კონფერენცია, ჩვენ 14-თვის გადავდევით, შემდეგ 20-თვის. 20-საც სომხეთის წარმომადგენლები ტფილისში არ იყვნენ. კონფერენცია ნოემბრის 30 გადავდევით. ამ განსაზღვრულ დროს ნოემბრის 10-დან 30-მდე ჩვენ შორის ნოტათა გაცვლა სწარმოებდა და მე ვფიქრობ, ვალდებული ვარ ეს მოლაპარაკება გავაცნო პარლამენტს, რომ მან სრული წარმოდგენა იქონიოს, თუ როგორი განწყობილება ჩამოვარდა ჩვენს შორის.

ნოემბრის 18 მე ერთხელ კიდევ მივმართე ს. მდივანს და ვთხოვე მას, რომ კონფერენციაზე სომხების დელეგატების წამოსვლა დაეჩქარებინა. ამავე დროს, ნოემბრის 17 მთავრობას ვრცლად მოვახსენე შესახებ ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯებისა და მივიღე პრინციპიალური დასტური, და ყველა გადაწყვეტილება მთავრობისა ეცნობა სომხეთის მთავრობას. ისიც ეცნობა მას, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა მოქმედება ჩვენს წარმომადგენელს მდივანს. ნოემბრის 20 სომხეთის წარმომადგენლები არ ჩამოვიდნენ. ნოემბრის 22 ვაცნობე მდივანს, რომ კონფერენცია მესამეჯერ გადაიდვა და დარწმუნებული ვართ, რომ ამ დროისთვის ჩამოვლენ სომხეთის წარმომადგენლები დეკემბრის 2 დეპეშა გავგზავნე, რომ აუცილებლად საჭიროა ჩამოსვლა სომხეთის დელეგატებისა, რომ დეკემბრის 7 მაინც ჩამოსულიყვნენ ტფილისში დელეგატები.

ეხლა უნდა მოგახსენოთ ის ცნობები, რომელნიც უკანასკნელ დროს მივიღეთ, რამდენიმე დეპეშა არის გამოგზავნილი. დეკემბრის 4—5-ს (სამი ტელეგრამა), 6-ს და შემდეგ ამისა ჩვენ ერევნიდან არავითარი ცნობა არ გვაქვს. ეს ტელეგრამები სრულებით არ შეეხება იმ საკითხს, რომელზედაც თქვენ მოგახსენებდით, ეს შეეხება ახალქალაქის დაკავებას ჩვენ მიერ დეკემბრის 5 გამოგზავნილი დეპეშა 6-მივიღეთ: სომხეთის მთავრობა პროტესტს გვიცხადებდა ახალქალაქის დაკავების გამო. დეკემბრის 5-ს გამოგზავნილ ერთ დეპეშაში ნათქვამია, რომ კითხვების გადასაწყვეტად დასთანხმდა ტფილისში ჩამოსულიყო თვით საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი. შესახებ ახალქალაქის დაკავებისა ჩვენ უპასუხეთ: საქართველოს მთავრობა რჩება ძველ პოზიციაზე, ის აუცილებლად საჭიროდ სთვლის, რომ ყველა სადავო საკითხი შეთანხმებით გადასწყდეს.

როდესაც სამხედრო მინისტრმა მე გადმომცა ის ცნობა, რომ დეკებრის 8 მოხდა სამწუხარო ინციდენტი, რომლიდანაც დაიწყო ეს უბედურება, მე 9-ს ტელეგრამა მივსწერე ერევანში ჩვენს წარმომადგენელს მდივანს, რომ მიეღო სასწრაფო ზომები, რომ ინციდენტი უბედურებად არ გაზრდილიყო, პასუხი ამაზე არა გვაქვს. უნდა ვსთქვა, რომ ჩვენს წარმომადგენელს საშუალება არ ჰქონდა მიეცა პასუხი. ხოლო ჩვენ გვაქვს მეორე ცნობა: მდივანი და სომხეთის დელეგატები მოადგნენ სანაინს, მაგრამ გზა გაუვალი იყო და ისინი დაბრუნდნენ კარაკლისს. გუშინ გავგზავნე რადიოთი დეპეშა (ხოლო იმედი არა მაქვს, რომ ის ერევანში ჩავიდოდა), რომ მთავრობას მიეღო ყოველივე ზომები.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ამბებთან კავშირი აქვს სომხეთის მთავრობას (**ადგილებიდან:** როგორ არა აქვს? რომელ მთავრობას?), სომხეთის ოფიციალურ მთავრობას. მე განმეორებით უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო პირებთან, რომელთაც კავშირი არა აქვთ სომხეთის მთავრობასთან.

მე ვლაპარაკობ, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც პასუხს აგებს ყოველ თავის მოქმედებაზე და მას სხვანაირად არ შეუძლია ილაპარაკოს.

ჩვენი მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ სომხეთის მთავრობა ყოველ ზომას მიიღებს ამის სალიკვიდაციოდ: უნდა მოხდეს სანაინის ამბების ლიკვიდაცია, საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოველივე ზომები, რომ შემდგარიყო კონფერენცია. ეს არის დიპლომატიური მისიის დანიშნულება და ამ მხრივ მთავრობამ თავისი მოვალეობა შეასრულა.

საქართველოს მთავრობა ჰფიქრობს, რომ როგორც ეს მთავრობა გულწრფელად ეგებება სომხეთის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად გადადგმულ ნაბიჯებს, ასეთივე განწყობილებას ჰპოვებს სომხეთის მთავრობის მხრითაც. თუ ეს ასე არ არის, თუ ყოველივე ცდა მშვიდობიანად საქმეების წარმოებისა უნაყოფოდ ჩაივლის, მაშინ დიპლომატია უნდა დადუმდეს.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ყველა ზომები იქმნა მიღებული, ისეთი ზომები, რომელიც კულტურულ ქვეყანას შეეფერება (ტაში).

რეზოლიუცია. მთავრობის მოხსენების შესახებ ს. დემ. ფრაქციამ შემოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული:

„მოისმინა რა განცხადება მთავრობისა შესახებ სანაინის და ვორონცოვკის მიდამოებში მომხდარ ამბებისა, პარლამენტი სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ყოველს ღონისძიებას იხმარს სახელმწიფოს დასაცავად მტერთაგან, რომელთა ერთად ერთი სურვილია—ორ მოსაზღვრე ერთა შეტაკებით სისხლის ღვრა და ანარქია გამოიწვიონ ჩვენს ქვეყანაში და მით განამზადონ ნიადაგი ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაღუპავად, და გადადის მორიგ საკითხებზე“.

კრება იხურება ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე.

რადგან დღის წესრიგში მოხსენებული საკითხები განუხილველი დარჩა, ინიშნება საგანგებო კრება შაბათს, 12 საათზე“.

შაბათი. დეკემბრის 14-ი. თავმჯდომარეობს ნიკოლოზ ჩხეიძე.

კრება იხსნება ნაშუადღევის 1 საათზე. განსახილველია ქალაქის ხმოსნების საარჩევნო კანონი.

მომხსენებელი ალექსანდრე ლომთათიძე უდგენს პარლამენტს სიტყვიერ მოხსენებას. რიცხვი ქალ. ტფილისის ხმოსანთა განსაზღვრულია 90. თითოეული ხმოსანი არჩეულ იქნება ორი წლის ვადით.

აკაკი ფალავა. სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მოითხოვს, რომ ხმოსანი ირჩეოდეს სამი წლის ვადით.

ხმის უმეტესობით პარლამენტმა დაადგინა, რომ ხმოსანი ირჩეოდეს ორი წლის ვადით.

პარლამენტი იხილავს შემდეგ კანონ-პროექტს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილების შესახებ, კანონ პროექტი მიღებულია უცვლელად.

კრება იხურება 1 ს. 45 წ.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: სამოქალაქო დღესასწაულებად დამტკიცებულ იქმნას 1-ლი და 26 მაისი.

—

მთავრობის კანცელარიის მდივნად მოწვეულ იქმნას გალაქტიონ ტაბიძე.

—

დამტკიცებულ იქმნას იუსტიციის მინისტრის პროექტი ბრალმდებლების შესახებ.

—

მიღებულ იქმნას დებულება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის.

გერმანული პრესის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

საბჭოთა ყრილობა.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა გაიხსნა 1918 წ. დეკემბრის 16 დილის 10 საათზე, პრუსიის ყოფილ დეპუტატთა პალატაში.

სახალხო კომისართა საბჭომ დეკემბრის 16 გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ ყრილობის წინაშე მოხსენება წაიკითხა თავის მოქმედების შესახებ.

დროებითი ზავი.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის და შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი ტრევში სრული შეთანხმებით დასრულდა, რომლის ძალითაც გერმანიის ნავთსადგურებში მყოფ 2 ნახ. მილიონ ტონის გემების საშუალებით გადმოიზიდება სურსათი გერმანიის გამოსაკვებათ.

საარჩევნო ბრძოლა.

დეკემბრის 15 ბერლინს უკვე დაეტყო, რომ დაიწყო საარჩევნო ბრძოლა. ყველა მნიშვნელოვანმა პარტიამ, ახლად შემდგართაც მოიწვიეს მრავალ რიცხოვანი კრებები, რომლებსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

სოც.-დემოკრატების უმრავლესობის პარტიამ სამი კრება გამართა. ყველაზე მრავალ-რიცხოვანი კრება ბუშეს ცირკში გაიმართა, სადაც 4000 კაცი დაესწრო. ამ კრებაზე ილაპარაკა ებერტმა, რომელსაც კრება დიდი ზეიმით და აღფრთოვანებით შეხვდა. ებერტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო კონფერენციის მიზანია რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება.

მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ სრული შემთხვევა გვეძლევა, ყოველივე დაბრკოლების მიუხედავად დავნიშნოთ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულ დროზე 4 კვირით ადრე. ამით ჩვენ ინტერესებს და უფლებას არავითარ ზიანს არ მივაყენებთ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა სახელმწიფო კონფერენციისგან დაჟინებით მოითხოვს დამფუძნებელ კრების არჩევნები 1919 წ. თებერვლის 19 დაინიშნოს,

სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის ორ სხვა კრებაზე სახალხო რწმუნებულებმა შეიდემანმა და ლანდსბერგმა რევოლიუციის მიზნების შესახებ ილაპარაკეს ამ კრებაზე მიღებულ იქმნა მაგვარივე რეზოლიუციები

ფრანგული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

მოკავშირეთა ჯარები.

დეკემბრის 15. სამხედრო საქმეთა მდივნის ამხანაგმა დე-შამპმა პალატაში განაცხადა, რომ სხვა და სხვა ეროვნებისგან შემდგარ სარეზერვო ჯარს რიცხვით 1.200,000, თებერვლის 15-მდე დაითხოვენ.

ინგლისელები რეინზე გადვიდენ და კელნის ოკუპაცია დაიწყეს.

დროებითი ზავის პირობების შესრულება დიუნკირხში მოვიდა საბარგო ვაგონებისგან შემდგარი 2 მატარებელი, რომელსაც გერმანელები მოკავშირეებს აბარებენ. მოელიან სხვა მატარებლებსაც.

ბოლშევიკები.

როგორც შვეიცარიიდან იუწყებიან, ბოლშევიკების 10 დივიზია უახლოვდება გერმანიის საზღვარს, სადაც იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება უკიდურესი სოციალ-დემოკრატები. ბოლშევიკების ჯარი გზაში ყველაფერს აოხრებს.

ვილსონის განცხადება.

ვილსონმა თავის პასუხში განაცხადა არ ვიცი, სხვა რომელ მოკავშირესთან შეგვეძლო მეტის სიხარულით და აღფრთოვანებით ბრძოლა. ჩემთვის სიამოვნება იქნება საფრანგეთის და მის მოკავშირეების წარმომადგენლებთან თათბირი, რომელთა შემწეობით უზრუნველყოფთ კაცობრიობის თავისუფლებას, რის მოპოება შეიძლება მხოლოდ ამ კავშირით და ნამდვილ მეგობრების თანამშრომლობით. ნასადილევს ვილსონმა მიიღო სოციალისტები, რომელთაც შემდეგი უთხრა: აუცილებელია, რომ თავისუფლების მტერთ მომავალში მოუსპოთ საშუალება მოახვიონ თავის მკაცრი და მხეცური ნება-სურვილი მთელს კაცობრიობას, ასეთ მდგომარეობის დამყარება, ჩემის აზრით, შეიძლება მხოლოდ ხალხთა ლიგის დაარსების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთად ერთი საშუალებაა დავარწმუნოთ ისინი, ვინც მართავს თქვენს ქვეყანას. მე ბედნიერი ვარ, რომ შეძლება მაქვს ვითათბირო მათთან იმის შესახებ, რომ დიდი ხნის ზავი უზრუნველყოფილი იქმნეს.

მოსკოვის ცნობები.

(საქარ. დეპეშ. სააგენტო)

ნაუენი. დეკემბრის 16. ტრირში დადებულ ხელშეკრულების თანახმად მოკავშირე სახელმწიფოების და გერმანიის შორის დროებითი ზავის ვადა იანვრის 17-დე გაგრძელდება.

მოსკოვი, დეკემბრის 16. სკოროპადსკიმ უარი სთქვა მართველობაზე და და ზოგიერთ მინისტრების და მოხალისეთა ჯარის გადარჩენილ ნაწილებთან ერთად კიევიდან გაიქცა. მხოლოდ არ იციან საით. კიევსა, ოდესასა და ნიკოლაევში პეტლიურას ჯარი შევიდა. კიევში ძალა-უფლება პეტლიურას დირექტორიის ხელში გადავიდა.

კარნოფიდენი. დეკემბრის 14 დღეს ინგლისში თემთა ახალი პალატის არჩევნები დაიწყო. ხმის მიმცემი 21 მილიონია, არჩევნებში ქალები პირველად იღებენ მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობენ ეგრედვე ჯარისკაცები და მეზღვაურნი.

ბაზელი. დეკემბრის 12, ინგლის-საფრანგეთის და იტალიის კონფერენციაზე გამოირკვა მოკავშირეების და ამერიკის უთანხმოება. ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის ეკონომიურ ცხოვრების და მეურნეობის დაქვეითებას სცდილობენ.

გვარდიის მოწოდება

გორი, ხაშური, შორაპანი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, თელავი, სიღნაღი, სართიჭალა. სახალხო გვარდიის შტაბს აჯანყებულ სომეხთა ბრბოები და სამხედრო ნაწილები, უპასუხისმგებლო პოლიტიკანების, ხელმძღვანელობით რომლებმაც მოკლეს კარჩიკიანი და აზატიანი და მეზობლად მცხოვრებ ხალხებს დიდ უბედურებაში აგდებენ, თავს დაესხნენ ჩვენს მოსაზღვრე რაზმებს და დახოცეს ჯარისკაცნი.

ჩვენ არ გვინდოდა სისხლის დაღვრა და ვიცავდით რა თავს, შეთანხმებას ვცდილობდით.

მაგრამ შეთანხმება უარყვეს და ბრბოებმა სომეხთა დელეგაციაც კი არ მიიღეს.

მშვიდობიანობის მაგიერ ომი მოგვახვიეს თავს, ძმურ სოლიდარობის მაგიერ სისხლი დაღვარეს, თავისუფლების მაგიერ მონობა შეგვთავაზეს. მოთმინების ფიალა აივსო

ავაზაკებმა იგი აავსეს ძმათა სისხლით.

და მთელი დაღვრილი სისხლი, მთელი ზიზღი, ამ სისხლზე აღმოცენებული, მათ თავს დაატყდება.

გვსურს რა შევაჩეროთ სისხლის ღვრა სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მოიწვიოს წითელ დროშის ქვეშ მთელი სახალხო გვარდია.

გაწვეული რაზმები თავის ოფიცრებით დაუყოვნებლივ ტფილისში გამოგზავნეთ.

სხვა ნაწილებისაგან ცალკე რაზმები შეადგინეთ და საჩქაროდ გამოგზავნეთ ტფილისში. გააძლიერეთ თვალ-ყურის დევნა ადგილობრივ და ბეჯითად დაიცავით ხიდები.

გახსოვდეთ ამხანაგებო ,რომ თავისუფლება და რევოლიუცია თქვენს დახმარებას ელის.

ეშელონების გაგზავნის დროს შესახებ ტელეგრაფით აცნობეთ მთავარ შტაბს

ამხანაგებს

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის, ტფილისის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტების, ტფილისის მუშათა კავშირის და სამხედრო საბჭოს დეკემბრის 15-ის შეერთებულმა კრებამ მოისმინა მოხსენება სომხის რეგულიარულ ჯარის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გადმოლახვისა, ჩვენს მოსაზღვრე ჯარზე მოულოდნელ თავდასხმისა და საომარი მოქმედების დაწყებისა, იქონია ამაზე მსჯელობა და დაადგინა:

სომხეთის ჯარის შემოსევაში შეერთებული კრება ჰხედავს საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას სომხეთის მთავრობის მხრივ. მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ქართველი დემოკრატიისა და საქართველოს მთავრობის ენერგიული და გულწრფელი ნაბიჯები სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა უნაყოფოდ დარჩა და იმ ერთა შორის, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კეთილმეზობლური განწყობილება ერთხელაც რომ არ დარღვეულა,—დღეს დაიღვარა სისხლი. რაიცა მეტად შეაფერხებს ამიერ-კავკასიის ერების ინტერესების შეთანხმებას, და დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმესა და სოლიდარობას. ამ საბედისწერო ნაბიჯის მთელი პასუხისმგებლობა სავსებით ედება თავს სომხეთის მთავრობას.

შეერთებული კრება საჭიროდ სთვლის ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულ იქმნას ფიცხელი და სასტიკი ზომები საქართველოს ტერიტორიის განსათავისუფლებლად შემოსეულ მტრისაგან.

გაძლიერებულ იქმნას დაცვა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებისა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შინაური წესიერების დასაცავად, რათა დემოკრატიისა და ჩვენი დამოუკიდებლობის სამტრო ელემენტებს ამ წესიერების დარღვევით არ მიეცეთ ასპარეზი თავისი მავნე მოქმედებისთვის.

მთავრობის ყოველივე ზომა ამ მიზნისკენ მიმართული ჰპოვებს ჩვენს პარტიაში ერთსულოვან გამოხმაურებას და ენერგიულ დახმარებას.

შეერთებული კრება მოუწოდებს პარტიის ორგანიზაციებსა და ამხანაგებს ჩვენი სამშობლოსი და რევოლიუციის მონაპოვართა ამ განსაცდელის ჟამს მჭიდროდ შემოკრბენ მთავრობის გარშემო—გააძლიერონ საქართველოს დამცველი ჯარი მოხალისე ამხანაგებით, მოაწყონ ახალი რაზმები მთავრობის განკარგულებაში გადასაცემად. აწარმოონ ენერგიული მუშაობა, დაცულ იქმნას სრული წესიერება და გააფრთხილონ მცხოვრებნი, რომ არავითარი ექსცესებს არ ჰქონდეს ადგილი.

განუმარტონ ფართო საზოგადოებას, რომ მტერი ჰლამობს თავისუფალ საქართველოს ჩამოჰგლიჯოს საუკეთესო ნაწილები.

რევოლიუციისა და საქართველოს მტრები ერთდებიან. ჩვენც დავხვდეთ გაერთიანებულნი და ერთსულოვანნი.

ახალი ამბავი

◆ **სომეხთა დელეგაცია.** დეკემბრის 16-ს გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს წარუდგა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია, რომელმაც ამცნო მინისტრს საქართველოში მყოფ ეროვნულ საბჭოს შეხედულება ქართველ-სომეხთა ომის შესახებ. მათის სიტყვით სომეხთა ეროვნული საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს სანაინის ინციდენტის გამო, და საქართველოს მთავრობასთან ერთად ისინი ზომებს მიიღებენ კონფლიქტის მშვიდობიანად გათავებისათვის.

◆ **ოფიცერთა რაზმის შედგენა.** სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა შეადგინოს ოფიცერთა რაზმი, რომლის თაოსნობაც მინდობილი აქვს პოლკოვნიკ ნარიკელაძეს. რაზმის შედგენის პირობები ასეთია: ოფიცრებს მიეცემათ უმცროს ოფიცრის ჯამაგირი, ჯარისკაცის ხარჯები და უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება. იმ ოფიცრებს, რომელთაც ჰსურთ ამ რაზმში ჩაწერა, უნდა მიჰმართონ და ჩაეწერონ პოლკ. ნარიკელაძესთან. მისამართი: მიხეილის ქუჩა, სამხედრო სასწავლებელი რაზმის შტაბი.

◆ **ბათომში.** დეკემბერს 15 ტფილისიდან ჩამოვიდა სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი ამერიკის მისია, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ ინახულა ახალციხე-ახალქალაქიდან საქართველოს ჯარის შესვლის შემდეგ გამოქცეულმა ოთხიოდე ბეგმა თავისი თავი ახალციხე ახალქალაქის მაზრების დროებით კომისარიატად აღიარა ბათომში. ისინი ყველა ამ მხარეში მოსახლე ეროვნებათა სახელით აპირებენ ინგლისელებს მემორანდუმი წარუდგინონ. მათ ხელმძღვანელობს ადგილობრივი ადერბეიჯანელი ექიმი ეფენდიევი. ისინი მთხოვენ სამხრეთ კავკასიის შტაბის დაარსებას შემდეგში რომელ სახელმწიფოს შეუერთდება ეს შტატი, ამაზე მემორანდუმის ავტორნი არაფერს ამბობენ.

◆ **სოც.-ფედ. სტუდენტთა ჯარში ჩაწერა.** დეკემბრის 16-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენტთა კრება გაიმართა. კრებაზე სტუდენტებმა ერთხმად დაადგინეს ჯარში შესვლა.

◆ **ეროვნული დროშა.** სახალხო განათლების მინისტრმა ყველა საშუალო სასწავლებლებს ბრძანება დაუგზავნა, რომ მათ შეიძინონ ეროვნული დროშები.

◆ **მოხელეთა რაზმი.** საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის კრებამ ერთხმად დაადგინა შეადგინოს საგანგებო რაზმი ბრძოლის ასპარეზზე გასაგზავნად.

◆ წმ. ნინოს სასაფლაოს სამრევლო საბჭომ გვარდიელების 1 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად გადასდო 500 მ. რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

◆ **ექიმთა პირველი ყრილობა.** გადადებულ იქმნა თანახმად ქუთაისის ექიმთა საგუბერნიო პროფესიონალურ კავშირის თხოვნისა. ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **ყარაიაზში.** ყარაიაზის სოფელ „ერთობის“ კომიტეტი დეკემბრის 22 იწვევს ამავე სოფლის საზოგადო კრებას კოოპერატივის გამგეობის ასარჩევად და ადგილობრივი საქმეების განსახილველად. წევრებსა სთხოვენ კრებას უეჭველად დაესწრონ.

◆ **მწერალთა კავშირის კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე სასახლის ქუჩაზე ქარვასლაში, მსახიობთა კავშირის კანტორაში დანიშნულია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.

◆ **ვაჭრობა-მრეწველობა.** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოში დაარსდა რამოდენიმე სააქციონერო საზოგადოება, რომელთა ძირითადი თანხაც 200,000,000 მანეთს უდრის.

◆ **სახადი.** სახადი ტფილისში დღითი დღე ვრცელდება. ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში 355 სახადიანი წევს.

შეცდომის გასწორება. კვირის ნომერში ქ. რაჭველიშვილის ფელეტონში სხვა მრავალ შეცდომათა შორის შემდეგი შეცდომებია ავღანელებთან ინგლისის ომი, თარიღად სწერია—1838-42 უნდა იყოს 1838—42 წ.

მოკავშირეების ვალი რუსეთისა დაბეჭდილია 60 **მილიონი.** უნდა იყოს: 60 მილიარდი.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, პარტიულ კლუბში საღამოს 7 ს. დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. იქნება მოხსენებები მთავარ კომიტეტის და ფრაქციის წევრებისა შემდეგ თემაზე: სომხის ჯარის შემოსევა საქართველოში.

—

დღეს, დეკემბრის 18-ს საღამოს ექვს საათზე, პარტიის მთავარს ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) უნდა გამოცხადდეს ყველა რაზმელი უკლებლივ. დასწრება აუცილებლად სავალდებულოა.

სამხედრო საბჭო.

—

დღეს. დეკემბრის 18 საღამოს 5 ს. დანიშნულია არაჩვეულებრივი შეერთებული კრება ტფ. საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტებისა. ამხანაგებს ვთხოვთ უთუოდ მობრძანდნენ და არ დაიგვიანონ, ვინაიდან გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები.

—

ქუთაისის სოც.-ფედერალისტ მუშათა საზოგადო კრების სახელით შემდეგი დეპეშა მოუვიდა ტფილისში მყოფ პარტიულ მუშათა კავშირის გამგეობას: სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა მრავალ რიცხოვანი კრება მეგობრულს სალამს უძღვნის, ამხანაგ მუშებს, უსურვებს ენერგიულს მუშაობას სამშობლოს საკეთილდღეოთ, პარტიის გასაძლიერებლად და მშრომელთა ინტერესების დასაცავად, რისთვისაც ქუთაისელი ამხანაგებიც გვერდში ამოუდგებიან და თავდადებით იმუშავებენ.

თავმჯდომარე გერხამია.

პარლამენტის წევრმა ამხ. ალ. წერეთელმა შემდეგი დეპეშა მიიღო იქიდანვე: სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა მრავალრიცხოვანი კრება გესალმება ერთგულ მოამაგეს გისურვებს ხანგრძლივსა და ნაყოფიერს მუშაობას პოლიტიკურს ასპარეზზე მშრომელთა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ნიშნად ულრმესი პატივისცემისა ერთხმად გირჩევს კავშირის საპატიო თავმჯდომარეთ.

თავმჯდომარე გერხამია.

წერილი ახალციხიდან.

მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლიუციამ ყველას კარგად გვასწავლა, რომ პირველი დამრღვევი სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა არის სიმშილი და სპეკულიაცია, რომლებსაც მოსდევს აუცილებელი ანარქია. ანარქიით სარგებლობენ ბნელი ძალები და შავრაზმელები და თავიანთი ჯარების სასარგებლოდ ღუპავენ და დედამიწასთან ასწორებენ მშრომელ ხალხს და მის მომავალს. ამნაირად ანარქია ამდიდრებს ერთს, მხოლოდ სამუდამოდ ღუპავს ოთხმოცდა ცხრამეტს.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ ანარქიის წყაროს ნიშნები სათავეშივე უნდა ჩაიკლას და ჩაქვავდეს. ამისათვის მთავრობამ თავისი წესწყობილების მშვიდობიანობისათვის და დაურღვევლობისათვის ყოველი ძალა და ღონე უნდა გამონახოს და გამოიჩინოს. ამ შემთხვევაში ჩვენ სახეში გვყავს საქართველოს მთავრობა, რომელიც მოვალეა მკაცრი, უსასტიკესი და სწრაფი ზომები მიიღოს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოფიქრებით თუ მოუფიქრებლად ამზადებენ ნიადაგს ანარქიის შესაქმნელად საქართველოში.

ასეთი მკაცრი ზომების მიღება მით უმეტეს საჭიროა იმ ადგილებში, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახლათ იკავებს.

უკანასკნელ დღემდის, სანამ ახალციხეში შემოვიდოდა ქართველთა ჯარი, პურს ყოველ ფურნეში ყოველთვის დაუბრკოლებლივ იყიდდით. მაგრამ ჯარის შემოსვლის დღიდან არ გავიდა 24 საათი და დეკემბრის 5 დილაზე ფურნეების წინ გაჩნდნენ გრძელი კუდები ასე, რომ ბევრმა თუ 10 გირვანქის მაგიერ მიიღო 5 გირვანქა, სამაგიეროდ ბევრიც უპუროდ უკან გაბრუნდა. რა თქმა უნდა ასეთი მოვლენა გაგრძელდება შემდეგშიც და იქონიებს—რა ხალხზე არა სასურველ გავლენას, უეჭველად შექმნის ერთგვარ ანარქიას, ქართველი ჯარის შემოსვლამდე იშოვებოდა ფქვილი, მაგრამ დღეს გეგონებოდათ ფქვილი გაქრა, საქართველოს მთავრობამ უეჭველად უნდა გამოძებნოს ასეთი არა ნორმალური მოვლენების მიზეზები რათა თავიდან აგვაცდინოს ექსცესები და ამ ნიადაგზე მოსალოდნელი ანარქია. საერთოდ ყოველი ძალ-ღონის ხმარება მცხოვრებლების ასე თუ ისე სურსათით მხრივ უზრუნველსაყოფად.

სპეკულიანტებს საქართველოს ჯარის მოლოდინში, მადა გაეღვიძათ და ხელფეხიც გაეხსნათ. ყველამ კარგად ვიცით, რომ მთელ საქართველოში, მხოლოდ ერთ ახალციხეში შეიძლებოდა და შეიძლება იცხოვრო თითქმის შეღავათიანად, მაგრამ როგორც ეტყობა ჩარხის წყალობით, ასეთი შეღავათი მალე მოესპობათ ახალციხელებსაც, რადგანაც ჩარხები, ჩარხივით დატრიალდნენ. მათ გამძღარ ერბო, ყველი და სხვა სასურსათო საგნები. უეჭველია ეს იმიტომ მოიკვნენ, რომ შემდეგში გადამალულ სანოვაგე აქ გააპარონ ტფილის-ქუთაისისაკენ და ცხრაჯერ გაძვირებულ ტყავი მოსამსახურებს, და აქ გამოიტანონ ბაზარზე და ერთი ათად ისარგებლონ.

შემდეგში ჩვენ გვითხრან, რომ სურსათ-სანოვაგის საკითხის მოწესრიგება და

სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლა ქალაქის თვითმმართველობის მოვალეობაა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ თვითმართველობა თავის მოვალეობას ამ დარგში არ ასრულებს და ეჭვიც გვებადება, რომ ეს მას განზრახ მოსდის, და აი [illegible] ამიტომ მოვითხოვთ საქართველოს ადგილობრივ მთავრობისგან თვით იკისროს, როგორც სურსათ-სანოვაგის მოწესრიგება, ისე სპეკულიაციის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა.

* * *

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვყავით და დღესაც ვართ, რომ არც ერთი ერის ეროვნება და სარწმუნოება არ უნდა შეილახოს მთავრობისგან და კერძო პირებისაგან, მით უმეტეს არ უნდა შეილახოს ამა თუ იმ ერის სარწმუნოებრივი მისწრაფება და მით უმეტეს არ უნდა შეილახოს ეს უკანასკნელი იქ, სადაც საქართველოს მთავრობა ახლად იკიდებს ფეხს.

ჯერ კიდევ სანამ რუსეთი დაიჭერდა ახალციხეს, მაჰმადიანებს ციხეში ჰქონდათ სალოცავი, რომელსაც უძახიან აჰმადია მეჩეთს. ეს მეჩეთი მაჰმადიანების აშენებულია. 1828 წლიდან რუსებმა მეჩეთი ეკლესიად გადააკეთეს და გუმბათზე მთვარის მაგიერ აღმართეს ჯვარი.

ამის შემდეგ განვლო თითქმის 90 წელიწადმა და ამ ათი თვის წინედ იფეთქა ადგილობრივ მაჰმადიანთა არეულობამ. ამ არეულობას არ ჰქონდა მარტო პოლიტიკური სახე; პოლიტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო სარწმუნოებაც, რომელმაც უფრო დიდი როლი ითამაშა მაჰმადიანებში, ვიდრე პოლიტიკამ.

ჩვენ კარგად გვახსოვს აბასთუმნის ყრილობაზე, ამა წლის თებერვლის 28, ერთი მოლას ნათქვამი: სანამ აჰმადია მეჩეთს არ დაგვიბრუნებთ, ჩვენი თქვენთან შერიგება შეუძლებელიაო.

ამ ექვსი თვის წინედ ოსმალოებმა ახალციხეში შემოსვლისას ეკლესია ისევ მეჩეთი აქციეს და აღმართეს ისევ მთვარე.

ეხლა კი, როგორც ეტყობა, ადგილობრივი საქართველოს მთავრობა აპირებს მეჩეთი გადააკეთოს ეკლესიად.

როდესაც რუსეთმა გადააკეთა მეჩეთი ეკლესიად, მაშინ ის თავის უხეშ ძალას ემყარებოდა, მაშინ რუსეთში თვითმპყრობელობა სუფევდა. დღეს კი როდესაც საქართველო აშენებულია დემოკრატიულ წეს-წყობილებაზე, იმედია ის ნებას არავის მისცემს მეჩეთი გადააკეთონ ეკლესიად, და ამით უეჭველია დაიმსახურებს იმ მშრომელ მაჰმადიანთა ნდობას, რომლებიც სარწმუნოების თვალსაზრისით ამ ათი თვის წინედ მტრულად უცქერდნენ თავიანთ ძმებს ქართველ-ქრისტიანებს.

ასეა თუ ისე საქართველოს მთავრობა მეჩეთის ეკლესიად გადაკეთების საკითხს უნდა მოეპყრას ფრთხილად, რათა კიდევ არ გადაიმტეროს მაჰმადიანობა, რომელიც თავის სარწმუნოების მტკიცე მიმდევარია.

დეკემბრის 5 ქართველ პოლკოვნიკს მოუთხოვნია მეჩეთის გასაღები, როდესაც კაცი მისულა მოლასთან, უკანასკნელის ქალიშვილს უთქვამს: მოლა აქ არ არის და რათ გინდათ გასაღები, მეჩეთი ჩვენია და შიგ მეჩეთში ხომ არ უნდა იცხოვროს ჯარმა, რომ გასაღებს თხოულობთო.

ალმ ახავლეთელი.

ახალციხის ამბები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ოქტომბრის 8.

დღეს ტფილისიდან მოსულმა პოლონელმა გადმოგვცა ტფილისის გაზეთების ცნობები: ინგლის-საფრანგეთის ჯარებს, სალონიკის ფრონტზე ძალზე დაუმარცხებიათ ბულგარეთის ლაშქარი. ამ დამარცხებას ბულგარეთში გამოუწვევია რევოლიუცია, რასაც მოჰყოლია მეფე ფერდინანდის გაქცევა უნგრეთში.

ასეთი ცნობები გვჯერა, ვინაიდან ადგილობრივ ოსმალთა მთავრობაში რაღაცა არა ჩვეულებრივი ჩოჩქოლია. ალბად ოსმალოებს ეშინიათ სტამბოლის დაკარგვისა და ყოველი ოსმალო ოფიცერი დაღვრემილი გამოიყურება. უაღრესად დაღვრემილი არიან ადგილობრივი ბეგები, რომლებმაც ალბად არ იციან თუ რა ხერხს მიმართონ, რომ ბულგარეთის რევოლიუციამ და სტამბოლის განსაცდელმა, ბოლო არ მოუღოს მათ ავანტიურისტობას ახალციხეში და მის მაზრებში.

რამდენად დაღვრემილნი არიან ოსმალოები და ბეგები, იმდენად ჩვენ ვეძლევით სიხარულს, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დგება დრო თავისუფლად ამოსუნთქვისა....

ოქტომბრის 11.

ოქტომბრის 9 და 10 მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. დღეს საღამოთი ბაჰრი-ბეგ ერისთვის ბინაზე მოხდა ადგილობრივ ბეგების კრება. ბეგების სხდომამ, რომელსაც სდარაჯობდნენ ოსმალთა ჟანდარმები, გასტანა თითქმის მთელ ღამეს. თუმცა ვერ გავიგეთ რაზე იმსჯელეს ბეგებმა მაგრამ ასეთი საიდუმლო კრება ერთხელ კიდევ გვიკარნახებს, რომ ოსმალეთის და ადგილობრივ ავანტიურისტ ბეგების ბედ-იღბალი ჰანდრაკულად არის და ამნაირ მდგომარეობიდან გამოსავალ გზას ეძებენ, მაგრამ მათ მიერ არჩეულ გზასაც ავანტიურისტული ხასიათი ექნება და ერთხელ კიდევ, მხოლოდ უკანასკნელად, გააწვალებენ მაჰმადიანთა ბნელ მასას.

ოქტომბრის 12.

გავრცელდა ხმა: გენერალი მაყაშვილი ახალქალაქის მაზრაშია ლტოლვილთა დასასახლებლათ.

ოქტომბრის 13.

ოსმალეთის მთავრობამ არ იცის როგორ მოახერხოს მთელი ჯავახეთის ქირნახულის გაზიდვა ყველას, გლეხს თუ ქალაქელს, რა თქმა უნდა, ქრისტიანებს ერეკება ახალქალაქისაკენ სამუშაოდ. სწორედ ამ მიზნისთვის ოსმალო და მაჰმადიანთა ჟანდარმები დღეს მათრახის ტრიალით და ცემა-ტყეპით თავს უყრიდნენ ძველი ნაწილის მცხოვრებლებს ქართველებს. უკანასკნელებმა ოსმალეთის შემოსვლის დღიდან ბევრი დამცირება გადაიტანეს. დღესაც გაუძლეს მათრახის ზურგზე თამაშს, მაგრამ მაინც სამუშაოდ ახალქალაქში არ წავიდნენ. დიაღ არ წავიდნენ, რადგანაც ის 18 კაცი, რომლებიც ოსმალოებმა ამ ერთი თვის წინედ წაიყვანეს სამუშაოდ დაბრუნდნენ უკან შიშველ-ტიტველი, მშიერი და დაავადმყოფებული.

ოქტომბრის 14.

დღეიდან ოსმალოები ახალციხიდან ბორჯომისკენ ალაიებს უშვებენ. დილით გამოაცხადეს, რომ მუთასარიფი (ვიცე-გუბერნატორი) ბათომისკენ მიდის და ამიტომ მცხოვრებლები, ჰამქრები თავიანთი დროშებით და ზურნით უნდა მიხვიდეთ მუთასარიფთანაო.

შუადღის 1-ლ საათზე ხალხი დაგროვდა მუთასარიფის ბინასთან. მუთასარიფმა მიმართა ხალხს სიტყვით. მან სხვათა შორის სთქვა: გულში არავის გაიტაროთ, ვითომ ოსმალეთი ახალციხეზე ხელს იღებდეს. ახალციხე იყო და ყოველთვის იქნება ოსმალეთის დროშის ქვეშ, ამიტომ იყავით მშვიდად და თქვენი ინტერესები სარწმუნოების განურჩევლად არ შეილახებაო. ამ სიტყვებით მუთასარიფი გამოემშვიდობა მცხოვრებლებს და ეტლით გაემგზავრა ბათომისკენ.

მისმა სიტყვამ ქრისტიანთა უვიც ელემენტზე უიმედო შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მისმა ასე უეცრივ წასვლამ და ოსმალოების მიერ ბორჯომის გზის ჩაკეტვამ ჩვენ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ოსმალეთის დღეები კერძოდ ახალციხეში, დათვლილია.

ოქტომბრის 15.

დღეს მცხოვრებლებში გავრცელდა ხმა: ახალ-ქალაქი საქართველოს ხელში გადადისო. ამ ხმამ ბევრი მცხოვრებთაგანი არა სასურველ და საგონებელ მდგომარეობაში ჩააგდო.

ოქტომბრის 16.

ოსმალო ოფიცრებში რაღაც არა ჩვეულებრივი ჩოჩქოლია. ეტყობა, რომ ოსმალეთს დიდი გაჭირვება ადგია. დღეიდან ოსმალოებმა იწყეს ჩქარის ტემპით ყველაფრის გაზიდვა ოსმალეთისაკენ.

ოქტომბრის 17.

სეიმის ფულს გასავალი აღარა აქვს, რის გამო მშრომელი ხალხი დიდ გასაჭირს და სიმშილს განიცდის. თუმცა დღესაც გამოაცხადეს, რომ სეიმის ფულის მიღება ყველასათვის სავალდებულოაო, მაგრამ მაინც ამ ფულს არავინ ღებულობს. სწორედ ეს გარემოება საღერღელს უშლის გაბრწყინილ—ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც სეიმის ას მანეთიანს ყიდულობენ ნიკოლოზის 70—75 მანეთად.

დღეს შემთხვევით ვეყავით ერთ ქართველ მაჰმადიანთა სოფელში, რომლის მცხოვრებნი დღე-დღეზე მოელიან ოსმალოების გასვლას. ამ სოფლის ერთმა გლეხმა გვითხრა: საქართველო ახალი სახელმწიფოა; თუმცა მის შემოსვლის პირველ ხანებში არევ-დარევა იქნება, მაგრამ არა უშავს, შემდეგში ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებაო.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიო, ასე დაემართათ ადგილობრივ მაჰმადიანებს ოსმალეთის ახალციხეში შემოსვლით რომლითაც ისინი ცოტად თუ ბევრად გამოფხიზლდნენ და ზემონათქვამიდან თვით მკითხველიც დარწმუნდება, რომ უვიცი და სიბნელით მოცული ქართველი მაჰმადიანი დღეს, ასე თუ ისე, პოლიტიკაზედაც მსჯელობს.

ოქტომბრის 18.

დღეს მთელ მაზრაში გამოაცხადეს მობილიზაცია. მაჰმადიანთა გლეხებს შიგ ქალაქშიც იჭერდნენ ჟანდარმები, რომლებიც ქრთამის მიღების შემდეგ ანთავისუფლებდნენ დაკავებულ გლეხებს. მობილიზაციას სათავეში უდგანან ავანტიურისტი ბეგები, რომლებიც მთელ მაჰმადიანობას ამხედრებენ საქართველოს წინააღმდეგ.

ვინაიდან მთლად მოწყვეტილი ვართ საქართველოს, ამიტომ არ ვიცით, თუ რაშია საქმე, მაგრამ ადგილობრივი მდგომარეობა და ოსმალო-მაჰმადიანთა ყოფა-ქცევა გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ახალციხე-ახალქალაქის საკითხი საქართველოს სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

ოქტომბრის 19.

წუხელის ქუჩების დარაჯებად გამოსული იყვნენ ადგილობრივ მაჰმადიანთა ჯარის კაცები. დღეს ვაჭარ-მაჰმადიანთა სავაჭროები მთლად დაკეტილია. მაჰმადიანთა მასას მოუთხოვნია ბეგების პირველ რიგში გასვლა ომის ასპარეზზე. ასეთ მოთხოვნილებაზე ბეგები დათანხმებულან.

ოქტომბრის 20.

შეკრებილი ადგილობრივ მაჰმადიანთა ჯარი გაიგზავნა საზღვრებზე. ცნობილ ომარ-ეფენდის უთქვამს: თავს მოვიჭრი, თუ ქართველები ახალციხეში შემოვლენო. რომ იტყვიან: ქურდს რა უნდა, ღამე ბნელიო, სწორედ ასე ესაჭიროება ხალით-ბეისაც ადგილობრივ მაჰმადიანთა ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ. ამით ის მოიგებს დროს და ისედაც გავერანებულ და აოხრებულ მაზრას უფრო გაავერანებს და აოხრებს. ეს ასეც ხდება. ხალით-ბეი, როგორც მძარცველი ეზიდება ყველაფერს ოსმალეთისკენ.

ოქტომბრის 21.

ბეგები დაცინვით გვიცქერიან ქართველებს. დღეს ერთმა ბეგმა გვითხრა: გენერალმა მაყაშვილმა ბოდიში მოიხადა ხალით-ბეის წინაშე და ეს ასე, რომ არ მომხდარიყო სულ მთლად ავამტვერებდით ქართველებსაო.

ოქტომბრის 22.

ბეგები განაგრძობენ ქართველების წინააღმდეგ მუშაობას. ახალქალაქიდან საღამოთი მოვიდა მთავარ-სარდალი ხალილ-ფაშა, რომელიც გაჩერდა სერვერ-ბეგ ათაბეგოვ ქოლიანსკის ბინაზე.

ოქტომბრის 23.

მთავარ-სარდალი ხალილ-ფაშა, რომელთანაც წუხელის შეკრებილნი იყვნენ ბეგები და ოსმალო ოფიცრობა, დღეს ავტომობილით წავიდა ბათომისკენ. სანამ ხალილ-ფაშა იმყოფებოდა ახალციხეში, ბორჯომისკენ წასვლა შეიძლებოდა, მაგრამ ხალილ-ფაშას წასვლის შემდეგ გზა ისევ შეიკრა ბორჯომზე.

ეს ალბად იმის მომასწავებელია, რომ ახალციხის ბატონ-პატრონი და მძარცველი ხალით-ბეი არ დაემორჩილა მთავარ-სარდალ ხალილ-ფაშას ბრძანებას გზის გახსნის შესახებ.

ოქტომბრის 24.

რა ამბავი მოუტანა ხალილ-ფაშამ ადგილობრივ ბეგებს და ოფიცრობას, არ ვიცით. მხოლოდ მის წასვლის შემდეგ ბეგები გუნებაზე ვერ არიან, თუმცა ენერგიულ ზომებს იღებენ ქართველების წინააღმდეგ.

დღეს ერთმა ჯარის კაცმა (ალბანელმა) გადმოგვცა, რომ 3—4 დღეში ოსმალოები გავლენ ახალციხიდან, და მათ ადგილს ქართველები შემოვლენო.

ოქტომბრის 25.

ადგილობრივ მაჰმადიანთა ვაჭრებმა იწყეს თავიანთი სავაჭროების ლიკვიდაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაჰმადიანი ვაჭრები ახალციხიდან გასვლისა თან გაჰყვნენ ოსმალოებს.

ოქტომბრის 26.

ოსმალეთის შემოსვლის დღიდან ავანტიურისტ ბეგებმა იწყეს გამდიდრება. ისინი ვაჭრობა-ჩარჩობას მისდევდნენ. ცნობილმა მოღალატე და ჩარჩმა ომარ-ეფენდიმ, რომელიც ხალიჩებით ვაჭრობდა ადგილობრივ ლეკებთან ერთად, დღეს დიდძალი ხალიჩა გაგზავნა ბათომისკენ.

ოქტომბრის 27.

ბეგები შიშით არიან მოცულნი და თავიანთ საკუთრებასაც—კი ჰყიდიან ოხერ-ფასებში დღეს ზია-ბეგ მარაბჩიევმა თავის მამა პაპური სახლი, ქალაქის ძველ-ნაწილში, გაჰყიდა

ოქტომბრის 28.

დღეიდან ბეგებმა იწყეს თავიანთ ოჯახობათა გახიზვნა ოსმალეთისკენ. ქართველი საზოგადოება ამას რომ უცქერის, ძალიან უხარიან და ნერვებ აშლილი კითხულობს: როდის უნდა ვეღირსოთ ქართველების შემოსვლას?

ნოემბრის 1.

ოქტომბრის 29, 30 და 31 მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუმცა ოსმალოები ამ დღეებშიც განაგრძობდნენ სურსათ-სანოვაგის გაზიდვას ოსმალეთისაკენ. ჩვენ არა გვგონია, რომ მთელი დედამიწის ზურგზე მოიპოებოდეს ისეთი მძარცველი სახელმწიფო როგორიც არის ოსმალეთი. უკანასკნელმა მთლად გაანადგურა და აოხრა ჯავახეთი; ეს მან არ იკმარა და ახალციხის მაზრის გლეხობაც მთლად გააღარიბა და გაამვალ-ტყავა.

დღეს ოსმალოებმა შემთხვევით აღმოაჩინეს სახელმწიფო საწყობში ქართველების მიერ დატოვებული 120 ფუთი ვერმიშელი, რომელსაც იმ წუთშივე თავი უკრეს ოსმალეთისკენ.

ნოემბრის 2.

დღეს ოსმალო ოფიცრებიც უარს არ ჰყოფენ თავიანთ გასვლას და ქართველების შემოსვლას. ამ გარემოებამ სომხებში შექმნა ერთგვარი მტრული ბანაკი ქართველების წინააღმდეგ. როგორც დანამდვილებით გავიგეთ ასეთ ბანაკის მეთაურებს: მკრტიჩ კუპალოვს სტ. სტეფანოვა, ქურქჩიანცს და სხვებს დღეს მიუმართავთ ხალით-ბეისთვის ოღონდ ქართველებს ნუ შემოუშვებთ და ჩვენ მათ წინააღმდეგ დაგეხმარებითო. როგორც გადმოგვცეს, ხალით-ბეის სომხების წინადადება უარუყვია.

გ. მ—ლი.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარი კომიტეტისა.

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
იძლევა
[illegible]
აფთიაქი. გოლოვინის პროსპექტი
№ 41, ტელეფონი 11—60. 2554

ექიმი [illegible]

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოიდან) იღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. [illegible] ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2012

ექიმი [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] ყოველ დღე [illegible] ავადმყოფებს და [illegible] სიფილისის წამლობა, ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილის პრ. სახლი № 119. ტელ. 2—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მესხიშვის ქ. № 11. 2245

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. [illegible] აუდიტორიის ახლოს. 2106

ექიმი [illegible]. მიიღება ვენერიული სნეულებათ ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი კ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს. დღ. კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი [illegible] (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 [illegible] აფთიაქის გვერდით. 903

თვალის სამკურნალო [illegible]

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ([illegible] მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენელოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ძლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიზი), კუჭისა და ქაქებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
საწყლებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის,
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. [illegible]—შინაგან და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. [illegible]—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2278

ექიმ ნავასარდიანის კერძო [illegible] სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.
ნ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. მ. [illegible]: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
მ. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

ექიმი [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ძლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ახალი სტილით
1919 წლის კედლის კალენდარი
სახალხო კალენდარი, მოძრავი კალენდარი (передвижной)
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
კალენდრებში უქმეები ახალ სტილზედ დალაგებულია საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიის დირექტორის დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ.
მისამართი: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს. 2526

ტფილისი, სტამბა ზარიანის (კალ